საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1088/01
10/02/2021

1088-01-2-202102101135

შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“

მის: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N45/57

მე-2 სართული

ელ. ფოსტა: infoedgorgia@gmail.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 26 იანვრის N799 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეწიეთში მდ. საშუალაზე, საშუალა 1 და საშუალა 2 ჰესების ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას და გაცნობებთ შემდეგს:

სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ასევე დაგეგმილი ცვლილებებიდან გამომდინარე, შესაძლო ზემოქმედების შესახებ ინფორმაციას „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილში მოცემული კრიტერიუმების გათვალისწინებით.

სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ ,,გამწმენდი დანადგარებიდან გამოსული წყალი დაახლოებით ჩაშვებული იქნება მდ. საშუალაში”, შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს წყლის ჩაშვების GPS კოორდინატები.

სკრინინგის განცხადებაში (ცხრილი 2.2.1 და ცხრილი 2.2.2) მოცემული ინფორმაცია ჩამდინარე წყლების გაწმენდის შემდეგ მიღებული ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ არ შეესაბამება სკრინინგის განცხადების დანართი 1-ით წარმოდგენილი გამწმენდი ნაგებობების სერტიფიკატებში არსებული გამწმენდი ნაგებობების გაწმენდის ეფექტურობას. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში დანართის სახით მოცემული გამწმენდის სერტიფიკატები წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯია“ უზრუნველყოფს განახლებული სკრინინგის

განცხადების სამინისტროში წარმოდგენას, ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე